ხელშეკრულება № 171
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების შესახებ (CPV – 37823300)

თბილისი **27 ივნისი 2023 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი“, წარმოდგენილი დირექტორის ნატალია ლომოურის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, შპს ,,დეკორი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო მუხურაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი „ს1“ პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის,“ ხლშეკრულების დანართი 1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 360.00 (სამასსამოცი) ლარს.

2.2. საქონლის რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. საქონლის სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის” ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღეში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. “მიმწოდებელი” ფაქტიურად მოწოდებული საქონლის თაობაზე “შემსყიდველთან” ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. დაფინანსების წყარო: **2023 წლის სახელმწიოფო ბიუჯეტი.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე “შემსყიდველის” მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა” ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს “მიმწოდებელი”.

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, “შემსყიდველის” მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. “მიმწოდებელი“ ვალდებულია: ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია: ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად. ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ “შემსყიდველი” და ”მიმწოდებელი” ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მწერალთა სახლის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

11.2. “შემსყიდველს” ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს: ა) მხარეთა შეთანხმებით. ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ „მწერალთა სახლი“
ს/კ 204595072
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის №13
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 33 05 01 39

დირექტორი
ნატალია ლომოური

LEPL Writers' House
Digitally signed by LEPL Writers' House
Date: 2023.06.27 14:15:50 +04'00'

„მიმწოდებელი“
შპს ,,დეკორი”
ს/კ 405148969
მის: ქ. თბილისი ბელიაშვილის 157
ტელ: **599 423909**
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
GE07BG0000000539913160
დირექტორი
ნინო მუხურაძე

Nino Mukhuradze 56001002823
Digitally signed by Nino Mukhuradze
Date: 2023.06.27 14:29:39

დანართი №1

№	დანაყოფის კოდი CPV	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	37823300	პერგამენტი ა3 (შეკვრა 250ფ)	5 შეკვრა	72.00	360.00

სსიპ „მწერალთა სახლი“ შპს ,,დეკორი“